ვაჟა-ფშაველას რელიგიური პორტრეტი

ლაშა ცაიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

ყველასთვის ცნობილია მთიელთა უდრეკი ხასიათი, მათი ერთგულება ძირძველი ადათწესებისა და რელიგიური კულტების მიმართ. არც ვაჟა-ფშაველაა ამ მხრივ გამონაკლისი, რა სახის აღმსარებლობას თუ მსოფლმხედველობას აღარ სწამებდნენ მას. არადა სულიერი თვალსაწიერიდან თუ გაავაანალიზებთ მის შემოქმედებას, სულ სხვა სამყარო გადაიშლება ჩვენს წინაშე; და რა თქმა უნდა ეს სამყარო ღრმად ქრისტიანულია. თუმცა გარკვეული მოსაზრებით ზოგიერთ შემთხვევაში თავისებურად ქრისტიანული, რაც გარკვეულწილად მისი როგორც მთიელის ხასიათიდანაც გამომდინარეობს, იგი ერთდროულად მთის არწივიცაა (როგორც მას უწოდებდნენ) და ბუჩქის ძირას ამოსული ნაზი იაც, დაუცხრომელი ბობოქარი სტიქიაც და საამური სიოც, ვეება სალი კლდეც და მოდუდუნე ნაკადულიც. მას შეეძლო ყოფილიყო საოცრად აზარტული მონადირე და იმავდროულად შვლის ნუკრის ნაამბობის ავტორიც, შეეძლო ყოფილიყო ღრმა ქრისტიანი და ღვთისმეტყველი, მაგრამ თუ თავისი სამართლით საჭიროდ ჩათვლიდა, ფიზიკურადაც გაუსწორებოდა ქრისტეს მსახურს. პრესითაც საჯაროდ გაილაშქრებდა მათი ნაკლოვანებების წინააღმდეგ. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ ვაჟა ფრიად რთული და ამოუცნობი პიროვნება გახლდათ და მისი რელიგიური კუთხით შესწავლა მრავალი მიზეზეით დიდ სიფრთხილესაც მოითხოვს, რათა მის სიდიადეს რაიმე არ მოაკლდეს ან ზედმეტი, არამისეული არ მიეწეროს, როგორ შემთხვევებსაც ხშირად ჰქონია ადგილი არამარტო ვაჟას, არამედ მრავალი გამოჩენილი ადამიანის ცხოვრებაში.

ვაჟა-ფშაველა იზრდებოდა მღვდლის ოჯახში, მისი მამა პავლე რაზიკაშვილი განათლებული და მოღვაწე სასულიერო პირი იყო. გ. ხორნაულის თქმით, „პავლეს კარგი ცხოვრების მოწყობაზე მაინცა და მაინც არ უზრუნია, ზოგიერთი მღვდელივით ნამუსზე ხელი არ აუღია, მეზობლების ყვლეფა არ დაუწყია, მაღალი ზნეობისა და შეგნების კაცად დარჩა, იგი ნამდვილი მღვდელი, ნამდვილი მოძღვარი იყო თავისი მრევლისა, გულიანად შემსრულებელი თავისი მოვალეობისა”[1]

პავლე მღვდელი ცდილობდა იგი წმინდა წერილით აღეზარდა, პატარა ლუკას თურმე ბიბლიიდან ყველაზე მეტად საგმირო ამბები მოსწონდა, დავითისაგან გოლიათის დამარცხება, სამსონ ძლიერის მოქმედებანი, ძმათა მაკაბელთა თავდადება და სხვა.

ვაჟას დედაც ბარბალე იგივე გულქანი საოცრად სათნო და ღვთისმოსავი ადამიანი იყო, მას თურმე ჩვევად ჰქონია გზაზე გასვლა და მშიერი, გადაღლილი მგზავრების დაპურება, ნაცნობი იქნებოდა თუ უცნობი არ არჩევდა ყველა ებრალებოდა, ერთხელ მას საოცარი ხილვა ჰქონია, რომელსაც ვაჟამ იაკოისებური ხილვა უწოდა და დედამისის ნაამბობი თავის ავტობიოგრაფიაში მოგვითხრო: „ჯერ ისევ ქალი ვიყავი გასათხვარი, . . .მე და ჩემს ბიძაშვილს ქალს ხლოვანს (სოფელია ივრის ხეობაში) გარეთ დერეფანში გვეძინა, შუაღამე იქნებოდა ნდგარ-დგარი ბირდინალი დადგა ისეთი, მეგონა მთა-ბარი თუ იქცევაო, შეშინებული წამოვჯე ლოგინში, გავხედე და მთელი ცა განათებული იყო, ორი ოქროსფერი ჯაჭვი იყო წამოსული; ერთი ჭიაურის გორიდან, მეორე სხლოვანის გორიდან გადამბულები, ზედ ცეცხლის ბალღები ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ და ისე მწკეპრ წმინდა ხმაზე გალობდნენ, ისე ტკბილად ღმერთო იმაზე კარგს რას გაიგონებს კაცის ყურიო.”[2]

ვაჟა-ფშაველა ფიქრობდა რომ ამ ხილვას თავისი ძალა ჰქონდა და მართლაც არ სცდებოდა, ჭეშმარიტად მათ ოჯახში ხდებოდა ისეთი უდიდესი მოლენა, რაც ამგვარ გამოცხადებას სრულიად ლოგიკურს ხდიდა, ეს მოვლენა თავად ლუკა რაზიკაშვილი გახლდათ.

ამასთან ვაჟა თავის ავტობიოგრაფიაში: „ჩემი წუთისოფელი” აღნიშნავს, თურმე სიყრმეში ძალზედ ნდომებია ბერად შედგომა, რაზეც ახლობლებს მწარედ დაუცინიათ და განზრახვა გადაუფიქრებინებიათ.

ვაჟას თხზულება „მოჩვენება” გვაგონებს წმინდანთა გამოცხადებებს, მართალია ვაჟას ეს მხატვრული ენითა აქვს აღწერილი და ძნელია მის შესახებ ღრმად ღვთისმეტყველური კუთხით მსჯელობა, თუმცა ამ თხზულებაში უხვადაა ისეთი დეტალები, რომლითაც იგი ემსგავსება წმინდა მამათა დარ ხილვებს.

რაც შეეხება ფშაველის რელიგიურ მრწამსს, იგი შინაგანად ღრმად მორწმუნეა, თუმ-

ცა მასში ბობოქრობს მთის სული, როგორც ჩანს, წარმართულმა გრილმა გარემომ ქრისტიანობის მიმართ, თავისი როლი შეასრულა და მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა მღვდლის ოჯახში იზრდებოდა, დიდად მაინც ვერ მოუთბო გული ეკლესიისადმი, თუმცა ამ გარემოებას მღვდელ-მსახურთა დაცემულობა და მეფის რუსეთის მიერ ეკლესიის მათი მიზნების სასარგებლოდ გამოყენების მცდელობამაც შეუწყო ხელი. რასაც მგოსნის მართალი სული ვერ ეგუებოდა

ვაჟას ბევრი ემტერებოდა და უსამართლობის მიმართ მისი მოუთმენელი ხასიათის გამო, ანკესზე ხშირად წამოაგებდნენ ხოლმე.

ვაჟაზე ამბოდნენ რომ ეკლესიის გალავანზე სამიზნე მიამაგრა და თოფს ესროდაო, თუმცა ძნელად წარმოსადგენია რომ ესოდენ მსოფლიო დონის მოაზროვნეს რუსეთის ცარიზმთან ბრძოლა და ეკლესიის უწმინდურობისგან დაცვა, ტაძრის კედელზე თოფის სროლით დაეპირებინა.

ვ. რაზიკაშვილს თავის წიგნში ზურაბ ხელაშვილის ნაამბობიც მოჰყავს: როდესაც ვაჟამ ხალხი და საულიერო პირები ააჯანყა და ეკლესიაები დააკეტინა. ძალიან ძნელია გაიგო ადამიანთა ნაამბობს ვინ რა მიუმატა ან რა გამოაკლო თუმცა აქ მოხმობილი შემთხვევებში მაინც ჩანს, რომ ვაჟას ეკლესია არ სძულს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მღვდელს და დიაკვანსაც დაგმობდა; ჩვენ კი ვხედავთ, რომ იგი მათაც ეხვეწება იმ ეკლესიებში არ შედგან ფეხი, რომელსაც მავანნი ადამიანთა დასაღუპავად უფრო იყენებდნენ.

ეს შემთხვევები უნდა ჩავთვალოთ ვაჟას მართალი სულის ამბოხად, არა ეკლესიის და სამღვდელოების წინააღმდეგ, არამედ იმ უკიდურესად ნაკლოვანი მხარეებისა, რაც იმ დროინდელ სასულიერო თუ საერო საზოგადოებაში სუფევდა.

ცნობილია ასეთი ამბავიც, თუ როგორ დაეხმარა ვაჟა ჯვრისწერის დროს თავისი ხელმარჯვეობით ახალგაზრდა წყვილს იოსებ ნაყეურს და დედუკა ბაჩიაშვილს, როცა ეკლესიაში საქორწინო გვირგვინები არ აღმოაჩნდათ, ვაჟამ ყვავილებისგან დაწნა ორი გვირგვინი და მღვდელს მიართვა, ესენი დაადგი თავზეო.

აი რა საინტერესო ცნობას გვაწვდის ვ. რაზიკაშვილი: ფეფო სონღულაშვილის (მღვდელი გიგო სონღულაშვილის მეუღლის) ნაამბობი: „მარიამობის თვე იყო ჩარგალში როდესაც ავედი, მე და ჩემი ქმარი ეკლესიაში წავედით, საყდარში ბევრი ხალხი მოვიდა, თავი მოიყარა ჩარგლის თითქმის მთელმა მოსახლეობამ, ჩემი ქმარი გიგო კითხულობს ლოცვებს სახარებიდან, გალობს ჩვეულებრივად, უცებ საყდარში შემოვიდა ვიღაც უცხო კაცი ჩოხა–ჩექმებში გამოწყობილი, მე მენამდე ლუკას არ ვიცნობდი, ნახული მქონდა მხოლოდ მისი სურათი, ახლა კი სრულებით ვერ მივხვდი თუ ეს ვაჟა იყო. გიგო მათეს, მარკოზის, იოანესა და ლუკას სახარებას კითხულობდა. ლუკას სახარება რომ ახსენა, გაიღიმა და ვაჟას გადახედა, მაშინღა მივხვდი, რომ ეს უცხო კაცი ვაჟა-ფშაველა იყო”.[3] ამ მონათხრობიდან კარგად სჩანს, რომ ვაჟასთვის უცხო არ გახლდათ ტაძარში რელიგიურ რიტუალებზე დასწრება და მათში მონაწილეობა.

ვახტანგ რაზიკაშვილი წერს რომ ვაჟას არ უყვარდა დღეობებში ბოლომდე დარჩენა და ღრეობა. ასევე გვაწვდის ცნობას იმის შესახებაც, რომ მათ ოჯახში სახსნილოში სახსნილოს მიირთმევდნენ, მარხვის დროს კი სამარხვოს, ვახტანგის მიერ შეგროვილ მოგონებებში მისი დედა იხსენებს: „ლოცვების თქმა ლუკამ არ იცოდა, ხოლო დასაძინებლად რომ დაწვებოდა იტყოდა: „ღმერთო შენით და არა ჩვენითაო”.[4]

1905 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობაზე მეოცნებე ვაჟამ თუ მთის გამოფხიზლება დაიწყო. მთელი ხევსურეთის კრება, სადაც შეიარაღებულმა ხევსურებმა დადეს ფიცი, რომ სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლებდნენ ჩვენი ერის დამოუკიდებლობისთვის, ამ ფიცის ფურცელი ფშავ-ხევსურეთის დეკლარაციასთან ერთად ვაჟა-ფშაველამ შეადგინა. დეკლარაციის ზოგიერთი მუხლი სასულიერო პირებსაც შეეხებოდა, „მუხლიVI–არა ვხდით სავალდებულოდ მღვდელს და დიაკვანს მივსცეთ საკომლო და სანათლობო და სამკვდრო, ვისაც სურს მისცეს. უნდა ისინი დასჯერდენენ თავიანთ ჯამაგირს”.[5]

ვაჟას ღმერთიც ღრმად სწამდა, ეკლესიაც და ღვთისმსახურნიც, ოღონდ ვერაფრით ვერ ეგუებოდა სასულიერო პირთა დაცემულობას და ტაძრებში გამეფებულ უსჯულოებას. მისი სასულიერო პირებთან ფიზიკური დაპირისპირება თუ რეალობას შეესაბამება, ეს სწორედ მისი უკეთურებასთან შეუგუებელი ბუნებიდან გამომდინარე იქნებოდა; რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მსგავს გამონაკლის შემთხვევებს უდიდეს საეკლესიო მოღვაწეთა მხრიდანაც ჰქონია ადგილი.

მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ წმინდა ნიკოლოზის ცხოვრება, ასევე უდიდესი ქართველი მოღვაწე და წმინდანი ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე. რომელიც გარდა ამაღლებული სულიერებისა, სიბრძნისა და თავმდაბლობისა, გამოირჩეოდა შეუდარებელი სამართლიანობით.

ვაჟა-ფშაველა საოცრად სტუმართმოყვარე

ადამიანი იყო, და მათ სახლში სტუმრები არ ილეოდნენ. გარდა ამისა, ლუკა რაზიკაშვილი უჩვეულო მოწყალებითაც გამოირჩეოდა, მისი შვილები იხსენებენ მრავალ შემთხვევას, როდესაც ვაჟა მასთან ლუკმა-პურის სათხოვნელად მისულ ადამიანებს იმაზე უფრო მეტს აძლევდა, ვიდრე სთხოვდნენ და თან მაშინ, რიცა ოავად ძლივს ახერხებდნენ დღიური საზრდოს შოვნას. მაგრამ თუ ვაჟა დაინახავდა რომ ვინმეს ახალგაზრდა, ჯანდრონით სავსეს, სიზარმაცის გამო უჭირდა, მოწყალებას არ აძლევდა, ურჩევდა მათხოვრობას, საკუთარი შრომით მონაგარი სჯობიაო.

დიდ მგოსანს შინაგანად დიდი და ღრმა რწმენა გააჩნდა უფლისა, თუმცა ამ ყველაფერს გარეგნულად საეკლესიო წესების დაცვით დიდად ვერ გამოხატავდა. ეკლესიაც უყვარდა და მღვდელიც; და როგორც მისი ცხოვრებიდან მარავალგზის ჩანს არც ერთ დიდი მნიშვნელობის საქმეს, ეროვნული იქნებოდა თუ პირადი, ასეულიერო პირთა გარეშე არ აკეთებდა, უბრალოდ ძალიან სუფთა და მართალი ადამიანი იყო და ამიტომ უსამართლობას ვერსად ვერ ეგუებოდა, მითუმეტეს სასულიერო სფეროში. მისი ნაწარმოებები სავსეა ღრმა ქრისტიანული აზროვნების ნიმუშებით და უფრო მეტიც ღვთისმეტყველური სწავლებებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1-[გიგი ხორნაული „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი", გამომცემლობა „ნაკადული " თბილისი 1987 ს.უ.კავშირის აუდიო ბიბლიოთეკა].

2-[„ჩემი წუთისოფელი"ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბილისი 1964, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" ტ. X. გვ. 138]. [ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბილისი 1964, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"ტ. V. გვ. 299, 300].

3-[გიგი ხორნაული „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი", გამომცემლობა „ნაკადული " თბილისი 1987 ს.უ.კავშირის აუდიო ბიბლიოთეკა].

4-ვახტანგ რაზიკაშვილი „მამაჩემი ვაჟა-ფშაველა", ს. უ. კავშირის აუდიო ბიბლიოთეკა].

5-[გიგი ხორნაული „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი", გამომცემლობა „ნაკადული " თბილისი 1987 ს.უ.კავშირის აუდიო ბიბლიოთეკა].

VAZHA-PSHAVELA'S RELIGIOUS PORTRAIT

LASHA TSAISHVILI
PhD of GTU

The topic - deals with the biography of a great poet, in particular religious aspects of his life. The materials were obtained from the works of Vazha-Phavela, his family members, writers and researchers. In the topic the outlook imprinted beneath a mountainous man's spirit crosses the in-depth search of the truth of the Christian doctrine. The righteous and the rebellious spirit of the writer which cannot tolerate with any kind of justice, at the same time is full of gentle love towards the God, people and every creature.